პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 91–ე მუხლის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77–ე მუხლის მე–7, მე–8, მე–9, მე–10 პუნქტებისა და 78–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე, განიხილა რა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დანართი N1-ის შესაბამისად.

(დანართი N1 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგებისა და ინდიკატორების შესახებ დანართი N2-ის შესაბამისად.

(დანართი N2 დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 3. ამ ადადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის საკრებულოს დადგენილება N5 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 31.12.2021, №190020020.35.123.016597)

მუხლი 4. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1-ლი იანვრიდან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შესრულებელი დავით ერემეიშვილი